სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოხატვა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

მედია მონიტორინგის შედეგები

17 თებერვალი -17 მაისი, 2014

მედიის განვითარების ფონდი

ანგარიში მოამზადა მედიის განვითარების ფონდმა პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა დასაქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციას.

შესავალი

მედიის განვითარების ფონდი "ეროვნული ინტეგრაციის გაძიერება საქართველოში" პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მედია მონიტორინგს, რომლის მიზანია ქართულ პოლიტიკასა და მედიაში ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

წინამდებარე სამთვიანი შუალედური კვლევა (17 თებერვალი -17 მაისი) პოლიტიკური პარტიების, მათთან აფელირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების, ასევე პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირების, როგორც პოლიტიკურად აქტიუტი ჯგუფის მხრიდან გაკეთებულ დისკრიმინაციულ გამოხატვებს ასახავს. კერძოდ:

- სიძულვილის ენას,
- ძალადობის წახალისებას,
- თურქოფობიას,
- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას,
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას,
- ჰომოფობიას,
- შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას,
- ანტიდასავლურ განწყობებს.

მონიტორინგი 6 გაზეთის (ასავალ-დასავალი, რეზონანსი, პრაიმ ტაიმი, ქრონიკა, ალია, კვირის პალიტრა); 5 ტელევიზიის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2, კავკასია და მაესტრო) დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და თოქ-შოუების, ასევე მედია-კავშირ “ობიექტივის” და ტელეკომპანია "ტაბულას" პრაიმ-ტაიმის თოქ-შოუს დაკვირვებას ითვალისწინებს. მონიტორინგი 6 საინფორმაციო ვებ-პორტალზეც (საქინფორმი, ინტერპრესნიუსი, ნეტგაზეთი, პირველი, რეპორტიორი, საქართველო და მსოფლიო) ვრცელდება.

გარდა დაკვირვების ქვეშ მყოფი მედია საშუალებებისა, წინამდებარე კვლევაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შესულია სხვა მედია საშუალებების (გაზეთი "ვერსია", ფეისბუკი [წყარო youtube]) მიერ გავრცელებული მასალები, რომლებიც ერთ შემთხვევაში პოლიტიკური თანამდებობის პირის ჰომოფობიურ და მეორე შემთხვევაში ოპოზიციური პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატის ქსენოფობიურ განცხადებებს ასახავს.

მონიტორინგის მთავარი მიგნებები

სამთვიანი პერიოდის მონიტორინგმა შემდეგი შედეგი აჩვენა:

- ყველაზე ხშირად რესპონდენტები ჰომოფობიურ გამოხატვას მიმართავდნენ - 41 შემთხვევა,
- ანტიდასავლური განწყობები - 21,
- სიძულვილის ენა -10,
- თურქოფობია - 9,
- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია - 6,
- ძალადობის წახალისება - 6,
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია -1,
- შშმ პირთა დისკრიმინაცია - 1.



სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია პარტიების მიხედვით:

ბურჯანაძე- ერთიანი ოპოზიცია (23) და სახალხო კრება (11) ცხრილში ერთიანი მონაცემებით არის წარმოდგენილი - 34; ქართული ოცნება - 18; პატრიოტთა ალიანსი -15; თავისუფალი საქართველო - 3, ნაციონალური მოძრაობა -2; იმედი -2; ლეობორისტული პარტია -1; სახალხო ფრონტი -1.



პირები, რომლებიც ყველაზე ხშირად მიმართავდნენ დისკრიმინაციის ენას

ელიზბარ ჯაველიძე - სახალხო კრება -10

ჯონდი ბაღათურია - ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია [ქართული დასი] -9

დავით თარხან-მოურავი - პატრიოტთა ალიანსი - 6

ნინო ბურჯანაძე - ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია -5

გურამ ფალავანდიშვილი - ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატი -4

გოგი თოფაძე - კოალიცია "ქართული ოცნება" - 4

ნუკრი ქანთარია - კოალიცია "ქართული ოცნება" - 4

დიმა ჯაიანი - აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი - 4

ყველაზე მაღალი **პოლიტიკური თანამდებობის პირი,** რომელმაც საანგარიშო პერიოდში ჰომოფობიურ გამოხატვას მიმართა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ დავით დარახველიძე იყო.

რეაგირებები

მედიის განვითარების ფონდი პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საჯარო დისკურსში დისკრიმინაციული გამოხატვის ყველაზე მწვავე გამოვლინებებზე რეაგირების სხვადასხვა ფორმებს მიმართავდა.

მინისტრ დავით დარახველიძის ჰომოფობიურ გამოხატვას 17 არასამთავრობო ორგანიზაციის [1] ერთობლივი განცხადება მოჰყვა, რის შემდეგაც მინისტრმა საჯარო განმარტებები გააკეთა და მისი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტირება ჟურნალისტს დააბრალა[2].

დახურული წერილების პრაქტიკა. მედიის განვითარების ფონდმა საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივასთან ერთად მედია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დისკრიმინაციული რიტორიკის 6 შემთხვევასთან დაკავშირებით დახურული წერილებით მიმართა სხვადასხვა პარტიებსა და ინსტიტუტებს:

- ქართული ოცნების წევრების შემთხვევაში (4) - "ქართული ოცნების" გენერალურ მდივანსა და პარლამენტის თავმჯდომარეს;

[1] მედიის განვითარების ფონდი, MDF; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, GDI; ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, TDI; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, EMC; საქართველოს რეფორმების ასოციაცია, GRASS; იდენტობა; საფარი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, ECMI; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, GYLA; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, TI; ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი; ასოციაცია "ლგბტ საქართველო" საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, GISS; საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტი, GIEV; მედია კლუბი "ფრონტლაინ ჯორჯია"; კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), 10 მაისი. http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=4&lang=1&id=228.

[2] რუსთავი 2, კურიერი, 13 მაისი. http://www.myvideo.ge/?video_id=2332840%20rustavi

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრთან დაკავშირებით;
- ნაციონალური მოძრაობის გენდერალურ მდივანს (1).

წერილების გაგზავნის მიზანი იყო, პოლიტიკურ პარტიებსა და სხვადასხვა ინსტიტუტებს დისკრიმინაციული გამოხატვის ცალკეულ შემთხვევებზე შიდა მექანიზმების საშუალებით მოეხდინათ რეაგირება.

აღნიშნულ წერილებს რეაგირება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მოჰყვა. პარტიის გენერალური მდივნის საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ ნაციონალური მოძრაობის ქუთაისის ორგანიზაციის წევრს ტერმინ "დაუნის" დისკრიმინაციულ კონტექსტში გამოყენების გამო საყვედური გამოეცხადა.

პასუხი მივიღეთ ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან, სადაც აღნიშნული იყო, რომ დიმა ჯაიანი მედიაში ინტერვიუს დროს "თავის აზრს და შეხედულებეს გამოხატავდა არა როგორც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, არამედ, როგორც კერძო პირი." ამასთანავე აპარატი არ იზიარებდა მოსაზრებას მინისტრის განცხადების ჰომოფობიური შინაარსის თაობაზე.

რეაგირება სოციალურ ქსელებში გავრცელებულ მასალაზე. სოციალურ ქსელებში გავრცელდა მასალა, რომელზეც ადგილობრივ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის მაჟორიტარობის კანდიდატის ქსენოფობიური მოსაზრებები იყო ასახული. მართალია, იმავე დღეს სოციალურ ქსელში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პარტიამ აღნიშნული კანდიდატურის არჩევნებიდან მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ როგორც მოგვიანებით განმარტეს, ცესკოსადმი მიმართვა დაგვიანებული აღმოჩნდა და ტექნიკურად კანდიდატურის მოხსნა ვეღარ მოხერხდა.

სიძულვილის ენა

სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად ნინო ბურჯანაძე - ერთიან ოპოზიციასთან ასოცირებული საზოგადოებრივი გაერთიანება "სახალხო კრების" (4) და "ქართული ოცნების" (3) წარმომადგენლები მიმართავდნენ; პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან კი - აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმა ჯაიანი (2), რომელიც თანამდებობაზე დანიშვნამდე ორგანიზაცია "სახალხო კრებას" წარმოადგენდა. მოძრაობა "ეროვნულების" წარმომადგენლის სანდრო ბრეგაძის განცხადება (1), რომელიც სიძულვილის ენას შეიცავს, გაკეთებულია მანამ, ვიდრე ის იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ დაინიშნებოდა.



სახალხო კრება. ყველაზე ხშირად სიძულვილის ენას სახალხო კრების წარმომადგენელი ელიზბარ ჯაველიძე მიმართავდა:

- იმ პირთა მიმართ, ვინც მისი აზრით, ქართული ეკლესიის და ცნობიერების წინააღმდეგ გამოდის ("ყველანი უნდა გააშიშვლო და წკეპლა მანამდე ურტყა, სანამ გონს არ მოვლენ", ასავალ-დასავალი, 17-23 თებერვალი);

- ნაციონალური მოძრაობის და მისი ცალკეული წარმომადგენლების მიმართ ("ეს დამნაშავეები [სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობის წევრები] ციხეებში უნდა ლპებოდნენ", ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი; "ვანო მერაბიშვილი 26 მაისის გამო უნდა დაისაჯოს, როგორც კანიბალი", ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი - 2 მარტი);
- მწერლის მიმართ, მისი ლიტერატურული ნაწარმოების გამო (" ეს ავადმყოფი ქარუმიძე... არ მჯერა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი - ეს სულით ხორცამდე ქართველი კაცი, ასეთი არარაობის საქართველოს ელჩობაზე დათანხმდეს!" ასავალ-დასავალი, 31 მარტი -6 აპრილი).

ქართული ოცნება. მმართველი პოლიტიკური გუნდის საპარლამენტო წარმომადგენლების მხრიდან სიძულვილის ენა გამოხატული იყო:

- **დავით ლორთქიფანიძის** მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მიმართ ("სამწუხაროდ, ნაციონალებს პირს ვერ ამოუკერავ... იმ დონეზე უნდა აღდგეს სამართლიანობა, რომ მათი საინფორმაციო ღრუ დაიხშოს. მინდა, მივმართო ამ მოსიარულე გვამებს", ასავალ-დასავალი, 17-23 თებერვალი)
- **გოგი თოფაძის** მხრიდან ვაჭრობის საერთაშორისო პალატის თავმჯდომარის ფადი ასლის მიმართ ("საიდანღაც ჩამოსული... ბანანების ქვეყანა გაგვხადა... შენ, რო არ დაგსვეს ბოთლზე, მაშინ იყავი ღირსი და მაშინ ამდენს არ იქაქანებდი... მაშინ ამოეღო ამ ურჯულოს ხმა, კაცო," კავკასია, სპექტრი, 27 მარტი)[3].
- **სოსო ჯაჭვლიანის** ქართველი მწერლების მიმართ ("ეს [ლაშა ბუღაძე] წმინდანის გამათახსირებელი არარაობა... ეს ნაძირლები სწორედ ქართული სიწმინდეების, სულიერების, მართლმადიდებლობის, დედა-ეკლესიის გათახსირებაში იღებენ ფულს! ესენი არიან ალენ დალესის იდეოლოგიური ნაბიჭვრები და მისი უბინძურესი დოქტრინის აღამასრულებლნი!"ასავალ-დასავალი, 31 მარტი -6 აპრილი).

პოლიტიკური თანამდებობის პირები:

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმა ჯაიანი** სიძულვილის ენას მიმართავდა:

- ნაციონალური მოძრაობის და მისი გენერალური მდივნის მიმართ ("მის დასაკლავად გამზადებული ხალხის უზარმაზარი რიგი დგას უკვე!.. ხალხი ამ ხროვას არ აპატიებს არაფერს! როცა სასამართლო არ სასამართლობს და სამართალი დაწიხლულია, მაშინ ხალხი თვითონ ირგებს მოსამართლის მანტიასაც და თვითონ იღებს ხელში

[33] http://www.myvideo.ge/?video_id=2294841
http://www.myvideo.ge/?video_id=2294839

მართლმსაჯულების მახვილს! და ვაი იმას, ვისაც ეს მახვილი მოხვდება!" ასავალ-დასავალი, 3-6 მარტი);

- ლგბტ პირების მიმართ ("არაკაცებო! ჭკუიდან ნუ გადაიყვანეთ ხალხი, თორემ შარშანდელი 17 მაისი მონაგონი იქნება! ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ 17 მაისს კინოთეატრი „რუსთაველი“... მამათმავლობის აპოლოგიით არ წაიბილწოს!" ასავალ-დასავალი, 21-27 აპრილი).

მოძრაობა ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე, რომელიც 1 ივნისიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, სიძულვილის ენას მიმართავდა:

- ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერის ("გია ნოდია - ადამიანის მსგავსი ცხოველი, რომელსაც სძულს ქართული ეკლესია და ამას დაუფარავი აგრესიით აფიქსირებს. ჩვენი დედა ეკლესიის მტერი გია ნოდია") და ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ ("ეს არის მტერი საქართველოსი და ქართველობის მტერი. ძალა, რომელიც სასწრაფო წესით უნდა ამოიშანთოს პოლიტიკური ასპარეზიდან", ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი- 2 მარტი).

ძალადობის წახალისება

ძალადობის წახალისებას ქართული ოცნების (2), პატრიოტთა ალიანსის (1) წარმომადგენლების, საჯარო მოხელის (1) და პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირების (2) მხრიდან ჰქონდა ადგილი.



ქართული ოცნება

- პარლამენტის ვიცე-სპიკერის მურმან დუმბაძის მხრიდან დისკრიმინაციულ გამონათქვამებს და ფიზიკური ძალადობისკენ მოწოდებას "თავისუფალი საქართველოს" ხელვაჩაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მერაბ ღოღობერიძის მიმართ ჰქონდა ადგილი („ეს არის ფსიქიკურად დაავადებული, ავადმყოფია ეს კაცი... დაგისახელებთ გვარებს, სახელებს ვინც ბოლო სამი დღის განმავლობაში ეს კაცი ცემა... დედას ვინც შეგაგინებს, იმას პასუხი უნდა გასცეთ... მე არ ვუკრძალავ არც ჩემს შვილს, არც ჩემს ძმას, არც ჩემს მეგობარს, არც მხარდამჭერს, არც ნებისმიერ

მოქალაქეს, დედის შემგინებელი ადამიანი უნდა იცემოს“, რუსთავი 2, კურიერი, 10 მარტი)[4].

- ფრაქცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელი ზაზა პაპუაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრის ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტის ("ნუგზარ წიკლაურისთვის წათაქება ამხელა აჟიოტაჟის ატეხის მიზეზი არ უნდა იყოს...) და ძალადობრივი ანგარიშსწორების გამართლებას ახდენდა ("პარლამენტი საჩხუბარი ადგილი არ არის, მაგრამ გარეთ ამ ხალხთან მუშტი-კრივის გამართვა შეიძლება... თუ დაპირისპირება დაიწყო, დამერწმუნეთ, ყველაფერი მათი თავ-პირის მტვრევით დასრულდება". კვირის პალიტრა, 7-13 აპრილი).

პატრიოტთა ალიანსი

- ნაციონალური მოძრაობის წევრთა მიმართ ძალადობის წაქეზებას პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი ირმა ინაშვილი ახდენდა ("დაეტიეთ თქვენს სოროებში და ყოველ წამს მადლობა სწირეთ ღმერთს, რომ ერთი გაუპატიურებული პატიმრის მამა არ დაგხვდათ სახლთან და არ გაგიპოთ თავი." რეპორტიორი, 24 თებერვალი).

საჯარო მოხელე

- შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის პრორექტორი ლუკა კურტანიძე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ ძალადობრივი ანგარიშსწორების რიტორიკას მიმართავდა ("თუ სააკაშვილს 10 ტყვია მოხვდება, ერთი ტყვია აუცილებლად ლუკა კურტანიძისგან იქნება... ეს მარტო სააკაშვილს არ ეხება. მინაშვილს, გაბაშვილს, უგულავას, თაქთაქიშვილს, ხერხეულიძისა და სხვათა სახით, ქვეყანაში ბევრი სააკაშვილია... ნურავის ეგონება, რომ ბრძოლა დამთავრდა. " ალია, 15 აპრილი).

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები

- ლევან ჩაჩუა, რომელიც 2010 წელს ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში მომხდარი ფიზიკური ინციდენტის გამო "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წევრებთან ერთად დააკავეს, ხოლო 2013 წელს პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს, ძალადობისკენ მოწოდებას "ქართული ოცნების" მიმართ ახდენდა („როცა ხელისუფლება მხოლოდ მამათმავლების და ლესბოსელების დაცვაზეა გადართული... გარწმუნებთ უსამართლობით გაგულისებული ხალხი „ქართული ოცნების“ მატყუარა მინისტრებსა და პარლამენტარებსაც ისეთივე ენთუზიაზმით დაუხეთქავს თავებს, როგორც ეხლა ნაციონალ ჯალათებს უკეთებს!“ ასავალ-დასავალი, 12-18 მაისი);

[4] http://www.myvideo.ge/?video_id=2282168

- პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული რევაზ კლდიაშვილი კი ნაციონალურ მოძრაობასთან ძალადობრივი ანგარიშსწორების შესახებ აკეთებდა განცხადებას ("ნაციონალებს ჩვენით გავუსწორდებით. იარაღის ხელში აღება რომ დაგვჭირდეს, ამაზეც წავალთ." ასავალ-დასავალი, 14-20 აპრილი).

თურქოფობია

თურქოფობიულ განცხადებებს შემდეგი პარტიები აკეთებდნენ: პატრიოტთა ალიანსი (4), სახალხო კრება (3), თავისუფალი საქართველო (1), იმედი (1). ხდებოდა თურქეთის, როგორც საქართველოს ეკონომიკური სიდუხჭირის გამომწვევი მიზეზის და ოკუპანტის წარმოჩენა.



პატრიოტთა ალიანსი:

- **დავით თარხან-მოურავი:** „ქართველი გლეხი ამოწყდა, ქვეყანა გაუბედურდა... ჩვენ ვუხდით ფულს, იმათ შემოაქვთ ნაგავი... სტრატეგიული პარტნიორი კი არაა, სტრატეგიული ვამპირია, რომელსაც გააქვს ქართველი კაცის შრომით ნაშოვნი ფული... აგერ ბათუმს ვჩუქნით“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 მარტი);

"30% ჩვენი ტერიტორიის 95 თუ 96 წელია, რაც ოკუპირებულია თურქეთის მიერ " (ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მარტი)[5];

„აჭარაში ჩამოვიდა თურქი, სახელმწიფომ მისცა თურქეთის მას ფული, რომ... შექმნას მუშაობის ილუზია... და ასეთნაირად 37 000 კაცი დასახლდა უკვე ბათუმში. ეს არის თუ არა ქვეყნის დაპყრობა...?“ (იმედი, რეაქცია, 16 მაისი);

- **სოსო მანჯავიძე:** “აქ თურქეთია, თურქეთი, რომელიც ასევე საშიშია“ (კავკასია, ბარიერი, 1 აპრილი)[6].

სახალხო კრება:

- **გია ბურჯანაძე:** "თურქეთს არა აქვს ოკუპირებული საქართველო?.. თქვენმა ხელისუფლებამ [ნაციონალური მოძრაობა] შეუწყო ხელი თურქეთის ექსპანსიას დღეს საქართველოში " (იმედი, რეაქცია 21 თებერვალი);

- **ელიზბარ ჯაველიძე:** "რუსეთი რომ დაიშალოს, აფხაზეთი და სამაჩაბლო უკან დაგვრჩება! ჯერ ჩრდილოკავკასიელთა ურდოები წალეკავენ... შემდეგ კი თურქეთი დაგვმართებს დასამართებელს!" (ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი);

"სერიოზული საფრთხე გვემუქრება თურქეთიდანაც... თურქეთი დღემდე ვერ შეეგუა აჭარის დაკარგვას... აჭარაში ცუდი პროცესებია დაწყებული“ (კვირის ქრონიკა, 17-23 მარტი).

თავისუფალი საქართველო

- **მერაბ ღოღობერიძე:** „როდესაც დუმბაძემ მეჩეთის მშენებლობას მხარი დაუჭირა, მაშინ მეჩეთის მაკეტი ავუტანე თავის სამსართულიან სახლთან და ვუთხარი, ბათუმის ცენტრში კი არ უნდა აშენდეს, საკუთარი სახლი დაუთმე თურქებსთქო“ (კვირის ქრონიკა, 17-23 მარტი).

პარტია იმედი

- **ირინა სარიშვილი:** "თურქეთი გაბატონდება ყირიმში... აფხაზეთი და სამაჩაბლო ვიღას გაახსენდება, ახალი პრობლემები დაიწყება, მით უმეტეს, რომ ისედაც გაივსო

---

[5] http://www.myvideo.ge/?video_id=2290232; http://www.myvideo.ge/?video_id=2290948

[6] http://www.myvideo.ge/?video_id=2338245

ჩვენი სამშობლო, დიახ, ჯერ კიდევ ჩვენი სამშობლო, თურქული "ბიზნესებით" და სერიალებით!!!" (Geworld.ge, 4 მარტი).

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას ნაციონალური მოძრაობის (1), ქართული ოცნების (2), ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიციის (ქართული დასი) (1), პატრიოტთა ალიანსის (1) და სახალხო ფრონტის (1) წარმომადგენლების მხრიდან ჰქონდა ადგილი. ნაციონალურმა მოძრაობამ ადგილობრივ არჩევნებზე მათი კანდიდატი სოციალურ მედიაში გავრცელებული ადრინდელი ქსენოფობიური განცხადებების გამო რეგისტრაციიდან მოხსნა.



ნაციონალურმა მოძრაობა:

- 1 ივნისს სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც ასახული იყო 2013 წელს თურქულ და ირანულ ბარებთან გამართულ საპროტესტო აქციაზე **ილია მალაზონიას** მიერ გაკეთებული განცხადება ("საქართველო თურქების გარეშე.

საქართველოში არ არის ირანელებისთვის განკუთვნილი ადგილი")[7], ასევე ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირი ოზურგეთში 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი იყო. იმავე დღეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ზურაბ ჯაფარიძემ სოციალურ ქსელებშივე გაავრცელა საპასუხო ინფორმაცია, რომ პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პირის არჩევნებიდან მოხსნის შესახებ. თუმცა, როგორც მოგვიანებით განმარტეს, ცესკოსადმი მიმართვა დაგვიანებული აღმოჩნდა და ტექნიკურად კანდიდატურის მოხსნა ვეღარ მოხერხდა.

ქართული ოცნება

- **თამაზ ავდალიანი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:** "ამ კანონპროექტის [მოქალაქეობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები] არსი და მიზანია, რომ საქართველოში დაბადებულმა ადამიანებმა, მათმა შთამომავლებმა მიიღონ მოქალაქეობა გართულებებისა და პრობლემების გარეშე, ხოლო დანარჩენები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ შეხება საქართველოსთან, მაგალითად, ვინც აფრიკიდან ჩამოვიდა, მათ უკვე სულ სხვა კრიტერიუმები ექნებათ... იმის ფონზე, რომ ჩვენ ვვითარდებით, ზედმეტი მუქთახორები ნამდვილად არ გვჭირდება" (ალია, 12 მარტი).
- **გოგი თოფაძე:** „ნეგატიური იყო ის თავის დროზე, როცა დავინახე საფრანგეთში, პარიზში ძალიან ბევრი ჩასული არაბი და ეკარგებოდა თავისი პეწი პარიზს, როცა ამდენი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ.“ (ნეტგაზეთი, 15 მაისი)[8].

ქართული დასი (ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიცია)

- **ჯონდი ბაღათურია:** " სადაც ქართულად ლოცულობენ და წერენ, ეგ არის საქართველო, თუ ჩვენ დავუშვით, რომ პლეხანოვზე თურქული და არაბული და მონგოლური წარწერები გაჩნდა, ჩვენ მივიღებთ პატარა თურქეთს ან მონგოლეთს შუაგულ თბილისში"(კავკასია, დღეს, 14 აპრილი)[9].

პატრიოტთა ალიანსი

- **ვაჟა ოთარაშვილი:** „არ მახსოვს საქართველოს ისტორიის მანძილზე, რომელიმე ჩვენს მეზობელ მოსაზღვრე სახელმწიფოს ჩვენთვის სიკეთის ლაშქარი გამოეგზავნა... საფრთხე გველის როგორც რუსეთისგან, სომხეთისგან, ასევე თურქეთისგან და აზერბაიჯანისგან“ (რეზონანსი, 4 აპრილი).

---

[7] https://www.youtube.com/watch?v=MDPZ8jWpUCY&feature=youtu.be&t=2m34

[8] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31453/.htm

[9] http://www.myvideo.ge/?video_id=2309520

სახალხო ფრონტი

- **ნოდარ ნათაძე:** „ღალატია აგრეთვე... ბათუმში თურქების მასობრივად ჩამოსახლება, თბილისსა და ანაკლიაში ჩინური ქალაქების შექმნის მცდელობა“ (რეზონანსი, 3 მარტი).

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსის რუსუდან გოცირიძის დაჯილდოვების გამო პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა პირმა შოთა აფხაიძემ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას მიმართა.

- **შოთა აფხაიძე:** "ამერიკამ ამ ნაბიჯით აშკარად დაგვანახა, რომ... მისთვის უფრო პრიორიტეტულია ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, ვიდრე მართლმადიდებლური... უნდა დავადგინოთ და დავაზუსტოთ, რომ სექტების მოქმედება ანტიკონსტიტუციურია, ქვეყნის მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის, საქართველოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, რაც კანონით უნდა აღიკვეთოს... უნდა მოხდეს ყველა საეჭვო ორგანიზაციის საქმიანობის კვლევა, უნდა კონტროლდებოდეს მათი ფინანსები" (Geworld.ge, 12 მარტი)[10].

შოთა აფხაიძე 2010 წელს ტელეკომპანია "კავკასიის" პირდაპირ ეთერში მომხდარი ჩხუბის გამო დააკავეს და 2013 წელს პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს.

[10] http://geworld.net/View.php?ArtId=5714&Title=miSel+obama+qarTvel+baptistebs+lobirebs&lang=ge

ჰომოფობია

ყველაზე ხშირად ჰომოფობიურ განცხადებებს ანტიდისკრიმინაციული კანონის კონტექსტში საარჩევნო ბლოკ "ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციაში" შემავალი პარტიები მიმართავდნენ (19). სხვა პარტიების მხრივ კი სურათი ასეთია: ქართული ოცნება (8), თავისუფალი საქართველო (2), პატრიოტთა ალიანსი (4), ლეიბორისტული პარტია (1), იმედი (1).

პოლიტიკური პარტიები:



ქართული ოცნება:

- **ნუკრი ქანთარია :** "პროპაგანდა არ იყოს და რაც უნდა ის აკეთოს ყველამ. პარადები და რაღაცები არ არის საჭირო" (ნეტგაზეთი, 28 მარტი)[11].

  „... ეს რა თქმა უნდა, გადახრაა, ეს არის პათოლოგია“ (მაესტრო, სუბიექტური აზრი, 2 მაისი)[12].

  „ეს, რომ ფაქტი ნორმალური არ არის და ანომალიაა, ჩემთვის პირადად, ცოდვაა ეკლესიურად, ბუნებრივია და მე ვთვლი, რომ ეს არის გადახრა...“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 5 მაისი)[13].

- **ზაზა პაპუაშვილი:** „ჯანმრთელმა მამაკაცებმა რომ მოინდომონ რუსთაველზე სექსუალური აქტით გასვლა და გამოსვლა, სადამდე მივალთ? მერე ვიღაცას ექნება ყბაყურის პრობლემა, ყბაყურისტები შეიკრიბებიან და აღარ დამთავრდება ეს აღლუმები... ის ადამიანები ნუ შეურაცხყოფენ საზოგადოებრივ აზრს, ნუ იძალადებენ“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 29 აპრილი)[14].

  "სახლში ვისაც რა უნდა ის აკეთოს, თავში ქვა უხლიათ. მივმართავ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს, დაიცვან იმ ქვეყნის ინტერესები, სადაც ცხოვრობენ" (ინტერპრესნიუსი, 29 აპრილი)[15].

  "ეგღა მაკლია, ვსდიო ახლა ნებისმიერ გომოსექსუალისტებს და პადიეზდებთან თავში რაღაცა ვუბრაგუნო... მის დაკანონებას, პროპაგანდას არასოდეს არ დავუჭერ მხარს" (კავკასია, დღეს, 29 აპრილი)[16].

- **გოგი თოფაძე:** "მოგეწონებათ, ორი მამაკაცი რომ გამოვიდეს ქორწინების სახლიდან გადახვეული?.. თავისუფლება თუ გვინდა და დემოკრატია, ბუნებრივია, უნდა აიტანო ეს, მაგრამ ამის რეკლამირება, ამის ძალიან გახმაურება არ არის მიღებული“ (ნეტგაზეთი, 15 მაისი)[17].

- **ომარ ნიშნიანიძე:** „შემოვარდნაა, როგორ არა, უმრავლესობის წინაშე შენ როდესაც დემონსტრაციას მიწყობ აქ, თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე და ამას მთელი საზოგადოება უყურებს, მე მიმაჩნია, რომ ეს გარკვეულწილად ძალადობაა

[11] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/29743/

[12] http://maestro.ge/menu_id/47/id/273/lang/1

[13] https://www.myvideo.ge/?video_id=2328210

[14] http://1tv.ge/news-view/68325

[15] http://www.interpressnews.ge/ge/politika/279687-zaza-papuashvili-mivmarthav-aratradiciuli-seqsualuri-orientaciis-adamianebs-daicvan-im-qveynis-interesebi-sadac-ckhovroben.html?ar=A

[16] http://www.myvideo.ge/?video_id=2323430

[17] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31453/.htm

უმრავლესობაზე... მეტრაკეობასა და მშობლის პატივისცემას შორის, მაპატიე და… ის არის სულ სხვა. სიძვა სხვაა და ის სხვაა“ (ნეტგაზეთი, 16 მაისი)[18].

ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია

- **ნინო ბურჯანაძე:** “მე ვერასოდეს ვერ მივიღებ ჰომოსექსუალიზმის, ინცესტის დაკანონებას... ვივლი ტრადიციების გზით პროგრესისაკენ, მაგრამ იმ პროგრესისაკენ, რომელიც არის ნორმალურ, ჯანსაღ, ადამიანურ ფსიქიკასთან შესაბამისობაში“ (პირველი, 2 მაისი)[19].

  „ამ კანონში ხდება პრაქტიკულად არატრატიდიციული სექსუალური ურთიერთობების, როგორც ნორმის ისე ჩამოყალიბება... თუ ადამიანი ამის აფიშირებას არ აკეთებს და ადამიანი ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, მის ცხოვრებაში არავინ არ ჩაერევა, მაგრამ თუ ადამიანი ბავშვებს უხსნის იმას, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ეს არის ნორმა, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს ადამიანი აქ არ უნდა მუშაობდეს “ (იმედი, რეაქცია, 2 მაისი)[20].

  „რაც შეეხება პროპაგანდას იმისას, რაც ჩვენთვის მიუღებელია, ამ პროპაგანდის უფლებას ნამდვილად არავის უნდა აძლევდეს ხალხი და ქვეყანა“ (რეზონანსი, 7 მაისი).

  „როცა ის სკოლაში ბავშვს აუხსნის, რომ არაფერი არ არის არანორმალური იმაში, რომ ის სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია, ეს არის ჩემი კრიტიკის საგანი“ (რეზონანსი, 12 მაისი).

  „დიახ, მე ვაპროტესტებ იმას, რომ ქვეყანაში ხდება, პრაქტიკულად, ამ პროპაგანდის დაწყება, რომ ქვეყანაში ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს არის ნორმალური, რომ შეიძლება შენ საბავშვო ბაღში ბავშვს უთხრა, რომ იცი, შენ არც გოგო ხარ, არც ბიჭი ხარ და 20 წლის შემდეგ გადაწყვიტე, ვინ ხარო“ (მაესტრო, სუბიექტური აზრი, 15 მაისი)[21].

- **დიმიტრი ლორთქიფანიძე, „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“თბილისის მერობის კანდიდატი:** „სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი არის პირდაპირი პროპაგანდა, დაკანონება, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ზნეობრივ ინტერესებს“ (მაესტრო, სუბიექტური აზრი, 28 აპრილი)[22].

---

[18] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31473/.htm
[19] http://pia.ge/show_news.php?id=12733&lang=geo
[20] http://www.myvideo.ge/?video_id=2329603
[21] http://www.myvideo.ge/?video_id=2333777
[22] http://maestro.ge/menu_id/47/id/204/lang/1

„ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ჰომოფობიის ის განმარტება, რომელიც ევროკავშირის წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში კულტივირდება... მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ... სიტყვისა და თავისუფლების უფლების რეალიზაცია გაგებულ იქნეს ისე, რომ საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს, თავზე მოეხვეს პროპაგანდისტული, გეიაღლუმებისა თუ სხვადასხვა პერფორმანსების გზით, გაუკუღმართებული სექსუალური გზის წესი, ეს არის აბსოლუტურად დასაგმობი“ (რუსთავი 2, კვირის თემა, 18 მაისი)[23].

- **პაატა ჯიბლაძე:** „მე ვარ სამი შვილის მამა და არ მინდა, რომ ჩემს ბიჭებს გმირ ქართველ მეფეებზე და ჩვენს წმინდანებზე სკოლაში გაკვეთილები კაცზე გათხოვილმა კაცმა ჩაუტაროს!.. როგორც ერთმა ჩემმა ნაცნობმა თქვა, ჩვენ ევროკავშირში მხოლოდ უკანალით არ უნდა შევიდეთ!“ (ასავალ-დასავალი, 12-18 მაისი)[24].

- **ირაკლი ბათიაშვილი:** „ ეს ფილოსოფია, რომ სექსუალური ორიენტაცია დააყენო იმავე რანგში განსხვავებულობის, როგორიც არის სხვაგვარად აზროვნება, ადამიანის მრწამსი, აზრის გამოხატვა, კანის ფერი, რასა და ასე შემდგომ, ეს არის ფუნდამენტურად არასწორი... სახელმწიფო უნდა იცავდეს ყველას, მათ შორის, პატიმარსაც, მათ შორის, მკვლელსაც, როგორც ადამიანს, ოღონც ის კანონით უნდა ისჯებოდეს. ვინც არ უნდა იყოს, პედერასტია, თუ ვინც არის, ის არის ადამიანი... მაგ ლოგიკით, რომ გამოვიდეს სატანისტების სექტა, შეეხებათ მათ დისკრიმინაცია, თუ არა, მაინტერესებს?“ (კავკასია, ბარიერი, 14 მაისი)[25].

- **გიორგი ახვლედიანი, ქრისტიან-დემოკრატები:** “გიორგის და ლევანის ქორწილში არასოდეს არ წავალთ!" (მაესტრო, სუბიექტური აზრი, 28 მარტი)[26].

  „ჩვენ დავინახეთ, რომ დღევანდელი ფსევდოლიბერალური აზროვნების ხელისუფლება აკანონებს გარყვნილებას, როგორც ნორმას" (ინტერპრესნიუსი, 29 აპრილი)[27].

- **ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი:** "წინამდებარე კანონი აკანონებს ჰომოსექსუალის გაუკუღმართებულ სექსუალურ ორიენტაციას, როგორც ზნეობრივ

[23] http://www.myvideo.ge/?video_id=2338159
[24] http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1020.html
[25] http://www.myvideo.ge/?video_id=2339077
[26] http://www.myvideo.ge/?video_id=2295612
[27] http://www.interpressnews.ge/ge/politika/279618-giorgi-akhvlediani-khelisufleba-gvikanonebs-sodomisa-da-gomoris-aghiarebas.html?ar=A

ნორმას... ამ ნორმით მარტო ერთსქესიანთა ქორწინება კი არ დაკანონდება, არამედ საბავშვო ბაღში ლესბოსელისა და გეის მუშაობაც, ან მეთაური რომ ჰომოსექსუალი იქნება, როგორ წარმოგიდგენიათ იმ არმის საქმე? ან სასჯელაღსრულების სისტემაში ჰომოსექსუალთა მუშაობა როგორ წარმოგიდგენიათ ? გაიხსენეთ, ახლო წარსულში ციხის კადრები რომ გვიჩვენეს, სადაც სასჯელაღსრულების თანამშრომლები აუპატიურებდნენ პატიმრებს... ყველა ეს დანაშაული ჩაიდინეს ჰომოსექსუალებმა... ეს კანონი მოახდენს ადამიანების მიდრეკილებას ამ გაუკუღმართებისკენ" (ალია, 16 აპრილი).

"საზოგადოებისათვის საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმებით, ჩემთვის, ჰომოსექსუალიზმი არის ანომალია... მამათმავლებს, ნარკომანებს და სხვა ასეთი იდენტობის მქონეთ არ უნდა ჰქონდეს უფლება საბავშვო ბაღში აღმზრდელებად მუშაობის, სკოლებში - პედაგოგებად მუშაობის, არ უნდა ჰქონდეთ პენიტენციალურ სისტემაში მუშაობის უფლება, არ უნდა ჰქონდეს თავდაცვის სისტემაში მუშაობის უფლება (კავკასია, ბარიერი, 22 აპრილი)[28].

„ერთი ხმა მაინც ყოფილიყო ცისფერი დიქტატურის დამყარების წინააღმდეგი, საქართველო ხომ ისეთი არაა, როგორიც მისი პარლამენტია" (რეპორტიორი, 28 აპრილი)[29].

„რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმს, ეს არის ნორმიდან გადახვევა. გადახრა, ეს არის ანომალია" (იმედი, რეაქცია, 2 მაისი)[30].

„მასობრივი გაუპატიურება პატიმრების და წამება, ყველა ამაში ჩართული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ჰომოსექსუალები. სხვა ამას კაცი არ აკეთებს უბრალოდ..." (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 30 აპრილი)[31].

„ინცესტი ნორმაა? პედოფილია ან ნეკროფილია ნორმაა?.. ამიტომ ვიმსჯელოთ ისე, რომ ნორმიდან გადახრილი ადამიანები, როგორიც არის ან ნარკომანია, დამოკიდებულება ნარკოტიკზე ან სხვა რამეზე ან კიდევ იგივე სექსუალური გადახრა რომელიც ადამიანს აქვს" (კავკასია, დღეს, 29 აპრილი)[32].

---

[28] http://www.myvideo.ge/?video_id=2318602
[29] http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=24574
[30] http://www.myvideo.ge/?video_id=2329388
[31] http://1tv.ge/news-view/68392
[32] http://www.myvideo.ge/?video_id=2323430

„ანტიდისკრიმინაციული კანონის“ პირველი მუხლის თანახმად, პარლამენტმა სექსუალური ორიენტაცია დააკანონა, როგორც ნორმა და არა გადახრა - პათოლოგია, ანუ დეპუტატები, რომლებმაც ამ კანონს ხმა მისცეს, ამბობენ, რომ ესენი ნორმალური ადამიანები არიან და არა ავადმყოფები!" (ასავალ-დასავალი, 12-18 მაისი)[33].

- **გურამ ფალავანდიშვილი, ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიციის მთაწმინდის მაჟორიტარი კანდიდატი [2013 წლის 4 დეკემბერს ხანუქას დღესასწაულზე მომხდარი ინციდენტის მონაწილე, რომელიც სხვა პირებთან ერთად მოუწოდებდა საქართველოს პრეზიდენტს, არ აენთო სანთელი. აღნიშნული ინციდენტისას პლაკატების ჩამოხევისა და ტრიბუნის დაზიანების გამო იგი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა]:** „ჩვენ შევძლებთ,... რომ პროპაგანდა მამათმავლობის საქართველოში ავკრძალოთ, გეი პარადები, გარყვნილი ფოტოები, სურათები და ასე შემდეგ“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი სტუდია, 16 მაისი)[34].

  “და ისიც ნათელია თქვენთვის, რომ უცხო ქვეყნის ღირებულება, რომლის მიღებისაც ჩვენ გვეშინია, არის მამათმავლობა... ის უკვე ბუნებრივ ნორმადაა გამოცხადებული და მისი დისკრიმინაცია უკვე სხვა ბუნებრივი უმცირესობების (რასა, სქესი, ეროვნება) უფლებების ტოლ-სწორად განიხილება“ (Geworld.ge, 3 აპრილი)[35].

  "თუ ნამდვილი, ქართული, ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქრისტიანული ფასეულობების პატივისმცემელი სახელმწიფოს აშენება გვსურს, ხმა უნდა ავიმაღლოთ მამათმავლობის ბუნებრივ ნორმად დაკანონების წინააღმდეგ!.. თორემ სულ ცოტა ხანში ჩვენც იგივე დაგვემართება, რაც ევროპასა და ამერიკას დაემართათ, სადაც დღის წესრიგს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები კარნახობენ!" (ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი).

არასაპარლამენტო ოპოზიაცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)

თავისუფალი საქართველო

- **ალექსანდრე შალამბერიძე:** "[კანონი] ემსახურება არა სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას, არამედ ერთსქესიანთა აღვირახსნილობის ლეგალიზაციას" (ინტერპრესნიუსი, 29 აპრილი)[36].

---

[33] http://www.asavali.ge/archive/asdas/2014/1020.html
[34] http://www.myvideo.ge/?video_id=2336310
[35] http://www.geworld.ge/View.php?ArtId=5787
[36] http://www.interpressnews.ge/ge/politika/279631-aleqsandre-shalamberidze-patriarqis-thkhovna-ignorirebulia.html?ar=A

- **კახა კუკავა:** "სექსუალური ორიენტაცია ჰომოსექსუალიზმის გარდა მილიონ სხვა სიმახინჯესაც გულისხმობს, მაგალითად, ნეკროფილია, პედოფილია და ა.შ. ეს კანონში განმარტებული არაა. იქ მხოლოდ „სექსუალური ორიენტაცია" და „გენდერული იდენტობაა" ნათქვამი" (3 მაისი, რეზონანსი).

პატრიოტთა ალიანსი

- **დავით თარხან-მოურავი:** „საერთოდ საფრანგეთში ასეთი ხალხისთვის არის ადგილი ბულონის ტყეში და ჩვენც ალბათ ამ ხალხს (ლგბტ) სადღაც ადგილი უნდა მოვუძებნოთ, აქ ხუდადოვის ტყეში და იქ იარონ და იქ გამოხატონ პროტესტი" (ობიექტივი, რამის სტუდია, 13 მაისი)[37].

- **ვაჟა ოთარაშვილი:** „თუ უსუფაშვილს სჭირდება, მაშინ პირადი მაგალითით გვიჩვენოს, ოღონდ საჯაროდ და სახალხოდ, - გაათხოვოს თავისი ბიჭი, გოგო კი გოგოზე დააქორწინოს, იგივე გააკეთოს იმ 112-მა პარლამენტარმა, რომელთაც ამ კანონს მხარი დაუჭირეს ... " (geworld.ge, 8 მაისი)[38].

- **ირმა ინაშვილი, თბილისის მერობის კანდიდატი:** „სინამდვილეში ეს ჯგუფები ჩვენ თავს გვახვევენ სწორედ ქართველობისთვის მიუღებელ მენტალიტეტს... ყოველდღე მიდის გახურებული პროპაგანდა იმაზე, რაც არ არის ბუნებაში, აი თუნდაც ამ ლგბტს უფლებების შელახვის და არავინ არ გაამახვილებს ყურადღებას, თუ შეილახა მართლმადიდებლების უფლებები" (იმედი, რეაქცია, 16 მაისი)[39].

- **გიორგი ლომაია:** „მესამე სქესი ჩემთვის არის წარმოუდგენელი. მე ვიცი ტრანსსექსუალი, ტრანსვესტიტი, ბისექსუალი...მაგრამ ეს ფსიქოლოგიური გადახრაა" (ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 მაისი)[40].

ლეობორისტული პარტია

- **გიორგი ყორღანაშვილი:** „თბილისში ამ ლგბტს და ამათ ბაირამობის უფლებას არავის არ მივცემ და მემგონი შევეცდები, აუცილებლად და იქნებ გავიტანო კიდეც... რო აიკრძალოს თბილისში" (საზოგადოებრივი მაუწყებელი, 15 მაისი)[41].

---

[37] http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=16935

[38] http://geworld.net/View.php?ArtId=5870&lang=ge&Title=vaJa+oTaraSvili+:+%C2%ABdidma+reJisorma%C2%BB+biZina+ivaniSvilma+xalxs+pirSi+Cala+gamoavlo!

[39] http://www.myvideo.ge/?video_id=2338131

[40] http://www.myvideo.ge/?video_id=2335045

[41] http://1tv.ge/news-view/69248

პარტია "იმედი"

- **ირინა სარიშვილი:** "ვინ არის მეთიუ ბრაიზა? ლგბტ-ს პირველი საცდელი ნიმუში საქართველოში" (ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი-2 მარტი).

მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირები, პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე პირები

მოქმედი პოლიტიკური თანამდებობის პირებიდან ჰომოფობიური განცხადება (1) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გააკეთა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს დავით დარახველიძის მიერ გაკეთებული რასისტული განცხადებების გამო სამოქალაქო სექტორმა მიმართა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, გადაეხედა გადაწყვეტილებისთვის დავით დარახველიძის ლტოლვილთა მინისტრის თანამდებობაზე წარდგენასთან დაკავშირებით.

ჰომოფობიური განცხადებებს ყოფილი თანამდებობის პირები (4) და პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი (1) მიმართავდა.



პოლიტიკური თანამდებობის პირი

- **დავით დარახველიძე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი:** **“** ჰომოსექსუალი ადამიანები არიან ავადმყოფები და თანაგრძნობას იმსახურებენ, თუმცა ეს ადამიანები აქციებს ატარებენ და ამ აქციებით პურს მათი მხარდამჭერები ჭამენ, რომლებიც სრულიად ნორმალური ორიენტაციის მქონენი არიან. ჩვენ რა საქმესაც ვაკეთებთ, იმის რეკლამასა და საზოგადოების სრულად ინფორმირებასაც ვერ ვახერხებთ და იმ კაცმა, რომელსაც რაღაც სექსუალური გადახრა აქვს, ამას რეკლამა რატომ უნდა გაუკეთოს?!**”** (ვერსია, 9 მაისი).

ყოფილი თანამდებობის პირები

- **ვახტანგ რჩეულიშვილი, პარლამნეტის ყოფილი ვიცე-სპიკერი:** "მოგწონთო იქაური პიდარასტები, ჰომოსექსუალიზმი, ეს აღვირახსნილ... ? ვის მოეწონება?! გიჟი ვარ ახლა, რა უნდა მომეწონოს?" (კავკასია, სპექტრი, 17 მარტი)[42].

- **ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:** "უზნეო ადამიანები საზოგადოებას უკვე თავს ახვევენ საკუთარი ცხოვრების წესს... ის, რომ შენ, ვთქვათ, გენეტიკურად და ჰორმონალურად ასეთი ხარ, უნდა იმკურნალო, თუ ეს არ გამოდის, მაშინ პირად ცხოვრებას ნუ გახდი ღიას და ნუ მომახვევ თავს მე - საზოგადოებას" (Geworld.ge, 6 მარტი)[43].

- **კობა ნარჩემაშვილი, ყოფილი შსს მინისტრი:** "ადამიანმა თავისი ემპირიული გამოცდილებითა და ცხოვრებით განასხვავა ერთმანეთისგან ბოროტი და კეთილი, კარგი და ცუდი, ლამაზი და მახინჯი... ამ ფაქტს [ჰომოსექსუალობას] თავის დროზე დაარქვა ცუდი“(ალია, 17 აპრილი).

- **ვალერი გელბახიანი, ყოფილი პარლამენტარი:** „...მაშინ მიმიფურთხებია სექსუალური ორიენტაციისთვის, როგორც მთავარი ღირებულებისთვის“ (ალია, 1 მაისი).

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი

- **ლევან ჩაჩუა:** „ახლა, ქართველმა საზოგადოებამ წარმოიდგინოს, როგორ დაიცავენ ასეთი ორიენტაციის ადამიანები ქვეყნის შიდა თუ გარე უსაფრთხოებას, როგორ

[42] http://www.myvideo.ge/?video_id=2286290

[43] http://geworld.ge/View.php?ArtId=5698

წარმოუდგენიათ ციხეში მომუშავე ჰომოსექსუალი ბადრაგი თუ „კლუჩნიკი“ ან ჰომოსექსუალი პოლიციის თუ ჯარის ჩინოსანი!" (ასავალ-დასავალი, 21-27 აპრილი).

შშმ პირების დისკრიმინაცია

ნაციონალური მოძრაობა

შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დისკრიმინაციას ნაციონალური მორაობის წარმომადგენლის მხრიდან ჰქონდა ადგილი. მედიის განვითარების ფონდის და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიმართვას ნაციონალური მოძრაობის სახელზე, შიდაპარტიული მექანიზმების გამოყენებით, რეაგირება მოეხდინათ საჯარო სივრცეში გაკეთებულ ამ განცხადებაზე, პარტიის მხრიდან საპასუხო წერილი მოჰყვა, რომლის თანახმად, გიორგი უკლებას გამოეცხადა საყვედური და მიეცა გაფრთხილება.

- **გიორგი უკლება, ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე:** „ჯერ ერთი, რომ სრული დაუნიზმი იყო, ქუთაისის სასაწყობე ქალაქად გადამქცევი მერობის კანდიდატის, ვინმე ხატია ვედმედევას ოპერის მმართველად დანიშვნა, ახლა იმ სისულელეების მოსმენა, რომ ბოლო დროს გახმაურებულ საბიუჯეტო გადარიცხვებთან დაკავშირებით, „ნაციონალები“ აქტიურობენ და ამ ხერხით ებრძვიან ოპერის მმართველს, დაუნიზმსაც სცდება“ (პირველი, 14 მარტი)[44].

[44] http://pia.ge/show_news.php?id=7459&lang=geo

ანტიდასავლური განწყობები

ანტიდასავლურ განცხადებებს "ქართული ოცნების" (3), ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის (3), სახალხო კრების (4), პატრიოტთა ალიანსის (5) წარმომადგენლები მიმართავდნენ.



ქართული ოცნება

- **სოსო ჯაჭვლიანი, ქართული ოცნება**: "იქ [უკრაინაში] დიდი ინტერესი აქვს რუსეთს, ასევე, ევროპასა და ამერიკას... როცა ჩადიხარ და იქ აშკარად მხარეს იჭერ, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ არ ხარ სწორი."

ჟურნალისტი: "ვის გულისხმობთ?"

სოსო ჯაჭვლიანი: "ვის და იმ ამერიკელ დიპლომატებს, რომლებიც ჩადიან და ბულკებსა და რაღაცეებს არიგებენ. ასეთი მხარდაჭერა ვინმემ რომ გამიკეთოს, გადავატრიალებ ნებისმიერ მთავრობას"(პრაიმ-ტაიმი, 24 თებერვალი).

- **ნუკრი ქანთარია:** "ლონდონში ინგლისელების ნაკლებობაა უკვე და მილევადში გადავიდნენ, ილევიან ნელ–ნელა და ახლა უკვე მაქსიმალურად ცდილობენ, იმიტომ, რომ გაივსო იქ ჩამოსულებით. ძირითადად, აფროამერიკელებით, არაბული ქვეყნებიდან, თურქეთიდან და სხვა ხალხით. ადგილობრივები უმცირესობაში გადადიან და პანიკა ეწყებათ. ეს მარტო ბრიტანეთში არ ხდება... ეს ბრეივიკი ჯანდაბა და ავადმყოფობა კი არის, მაგრამ რატომ გახდა ის ავადმყოფი? რაღაც ბაცილები არსებობს და ამას ხედავ. ლონდონშიც რომ ჩავედით, იქაც მოხდა, ხალხი დახოცა ვიღაცამ ქუჩაში, მერე მისი ლიკვიდაციაც მოხდა. ამ მხრივ არეულობაა" (ნეტგაზეთი, 28 მარტი).

- **გოგი თოფაძე:** "იმათ [ევროპას] თავიანთი წესები ჰქონდათ... არის თემები, რომელიც უმეტესობას არ მოსწონს... ისეთი კანონების მიღებას აიძულებენ: მამაკაცების დაქორწინება, გენდერული ურთიერთობა, სქესობრივი, არ ვიცი, როგორ ვთქვა, დელიკატურად რომ გამოვიდეს; რომ მამაკაცები შეიძლება დაქორწინდნენ, რომ დაქორწინებულმა მამაკაცებმა იშვილონ ბავშვი და გამოდის, რომ ის ბავშვიც უნდა გაიზარდოს საკმაოდ გაუგებარ სიტუაციაში... ევროპა დღეს ასეთ მოთხოვნებს აყენებს ჩვენთანაც, არა ეგეთ კატეგორიულს. ჩვენ გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ შემოთავაზებულ ვარიანტში და ცოტა დარბილდა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს საქართველოში, კავკასიაში მცხოვრებლებისთვის მაინცდამაინც მისაღები არ იქნება." (ნეტგაზეთი, 15 მაისი)[45].

ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია

- **დიმიტრი ლორთქიფანიძე, დემოკრატიული საქართველოს მერობის კანდიდატი:** „ბოდვა, თითქოს ჩვენი მთავარი მიზანი არის ევროატლანტიკური სტრუქტურები, საბოლოოდ უნდა დასრულდეს." (Geworld.ge, 3 აპრილი).

- **ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი:** „ვინც მათ ვთქვათ აღლუმის ჩატარებაში შეეწინააღმდეგება, ანტიდისრიმინაციული კანონის მიხედვით, კანონდამრღვევი იქნება. თუ ერთსქესიანები მოინდომებენ ეკლესიაში ჯვრის დაწერას და მღვდელი მათ წინააღმდეგობას გაუწევს, ეს მღვდელიც კანონდამრღვევი გამოდის... ეს არის ჩვენი ევროპული არჩევანი?!" (რეპორტიორი, 14 აპრილი)[46].

[45] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31453/.htm
[46] http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=23226

- **გურამ ფალავანდიშვილი:** "...მაშინ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ასეთ ევროკავშირზე, რომელიც არაფრად დაგიდევს ათასწლოვან ქართულ ტრადიციებს და სარწმუნოებას!" (ასავალ-დასავალი, 7-13 აპრილი).

სახალხო კრება

- **ელიზბარ ჯაველიძე:** "უკრაინელი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სურს ამ გარყვნილ და გადაგვარებულ ევროპულ ოჯახში!" (ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი-2 მარტი).

  "ეს "უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლა" კი არა, დასავლეთის ვერაგული ბრძოლაა რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც უკრაინელებს საზარბაზნე ხორცად იყენებენ!" (ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი).

  "რა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი - გეიაღლუმები?! ერთსქესიანთა ქორწინებები?! თუ რელიგიისა და ეკლესიის შეურაცხყოფა, რაც უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა ევროპაში?!" (Geworld.ge, 20 მარტი)[47].

  "და როგორც საქართველო დაშალეს ამერიკამ და ნატომ მიზანმიმართულად, უკრაინასაც იმას უკეთებენ!.. ჩვენ, ქართველები, ვერ გაგაგვარომაელეს, ვერ გაგვასპარსელეს, ვერც გაგვაბერძნეს, ვერც გაგვაარაბეს, ვერც გაგვათურქეს, ვერც გაგვარუსეს და დარწმუნებული ვარ ვერც გაგვაამერიკელ-გაგვაევროპელებენ!" (ასავალ-დასავალი, 14-20 აპრილი).

პატრიოტთა ალიანსი

- **სოსო მანჯავიძე:** "პირდაპირ იყო იმაზე ლაპარაკი, რომ თუ კვლავ გააგრძელებს ასეთი ტიპის უხეშ ზეწოლას და ჩვენ გაგვხდის იძულებულს, რომ დაგვაყენებს ალტერნატივის წინაშე, რომ ერთსქესიანი ქორწინებები და სხვა მომყოლი, ასე ვთქვათ, "მომხიბლავი მოვლენები", თუ ევროკავშირში გაწევრიანება, ქართველი ხალხი ეტყვის არას ევროკავშირს და საერთოდ, ევროპას და აიღებს მკვეთრად ჩრდილოურ ვექტორს, თავისი პოლიტიკური ორიენტაციისას... გვინდა ჩვენ მამაკაცმა მამაკაცზე იქორწინოს და ვალდებული იყოს სახელმწიფო, რეგისტრაცია გააკეთოს? და მეტიც, ხო? გააშვილონ და მიაშვილონ ბავშვები და კიდევ ათასი მსგავსი რამეები, ხომ? " (ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 მარტი)[48].

  "არსებობს ძალიან ძლიერი ლობი დასავლეთიდან, კონკრეტულად, რომელიც აიძულებს პირდაპირ საქართველოს კანონმდებლებს, რომ მიიღონ უაღრესად არაპოპულარული გადაწყვეტილება." (ობიექტივი, ღამის სტუდია, 5 მაისი).

---

[47] http://geworld.ge/View.php?ArtId=5737

[48] http://www.myvideo.ge/?video_id=2277168; http://www.myvideo.ge/?video_id=2277188

- **დავით თარხან-მოურავი:** "საბერძნეთი, ფაქტიურად, ევროპამ გაანადგურა, მისი ეკონომიკა წაშალა, მაგრამ იქ დაერია მის კულტურას, მის ზნეობას, მართლმადიდებლობას... უკვე იმას ითხოვენ, ათონის მთაზე მანდილოსნები უნდა შევუშვათ გინდა თუ არა და ა.შ... იქ მიდის ბერძნული კულტურის და საერთოდ ბერძნული აზროვნების წინააღმდეგ, მართლმადიდებულ აზროვნებაზე მაქვს ლაპარაკი, საშინელი ბრძოლა... ფაქტიურად საბერძნეთი ახლა მთლიანად თავის ტერიტორიიან შენობა-ნაგებობიანად ევროპას ეკუთვნის."

  ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი: ანუ ეს არის ბრძოლა მართლმადიდებლობასთან?

  დავით თარხან-მოურავი: და რა თქმა უნდა, ამას რომ გრძნობენ, გაიზარდა იქ პრორუსული განწყობები იმიტომ, რომ იქ რუსეთიც მართლმამიდებლური ქვეყანაა და." (ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 მარტი)[49].

  "ჩვენ უნდა მოვითხოვოთ რომ ჩაწერე [ასოცირების ხელშეკრულებაში] არავითარი რეგიონალური სტრატუსი სომხურ ენას, აზერბაიჯანულ ენას... ჩვენ უნდა დავწეროთ, არავითარი თურქი მესხები, გარდა ქართველებისა. ვინც ეთნიკურად ქართველია კი ბატონო, ვინც არა ნახვამდის... არავითარი ერთსქესიანთა ქორწიებები... " (ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მარტი)[50].

- **ვაჟა ოთარაშვილი:** „არ მინდა ევროპა, რომელიც სოდომ-გომორის ცოდვაში ჩამაგდებს. ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა საქართველოში, თუ ის პედარასეტების და ლესბოსელების ქვეყანა გახდება." (GEWORLD.GE, 8 მაისი)[51].

[49] http://www.myvideo.ge/?video_id=2290993
http://www.myvideo.ge/?video_id=2290219
http://www.myvideo.ge/?video_id=2290248
[50] http://www.myvideo.ge/?video_id=2293418
http://www.myvideo.ge/?video_id=2293441
[51] http://geworld.ge/View.php?ArtId=5870

მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირები, პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე პირები

ანტიდასავლურ განწყობებს მოქმედი პოლიტიკური თანამდებობის პირის - აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის (2), ასევე ყოფილი თანამდებობის პირების (3) და პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირის (1) მხრიდან ჰქონდა ადგილი.



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი

- **დიმა ჯაიანი:** "ვაჟა-ფშაველას ქალის და მამაკაცის სიყვარულზე დაუწერია და ბეთხოვენს მუსიკა შეუქმნია ამაზე. რად მინდა ნატო და ევროპისკენ სწრაფვა, თუ ამას დაკარგავს სახელმწიფო?" (რეზონანსი, 3 მაისი).

  "რომ მეუბნებიან, ჟვანია „პედერასტიაო", დამიმტკიცონ ეს... მე ერთხელ ვთქვი და ახლაც გეტყვით, თუ პედერასტობაა საჭირო საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებლად მაშინ მე, დიმა ჯაიანს, ჩემს ცხოვრებაში არ მომინდება ნატოში

შესვლა. მე ვარ ვაჟა-ფშაველას ქვეყნის შვილი. თუ გადაგვარების გზაზე დაყენებაა საჭირო, მაშინ არც ნატო მინდა და არც ევროკავშირი" (პრაიმ ტაიმი, 31 მარტი).

ყოფილი თანამდებობის პირები

- **ჯუმბერ პატიაშვილი, ცეკას ყოფილი მდივანი:** "საქართველოში ცხოვრობენ ადამიანები და არის კუთხეები, რომელთაც ჩვენთან ერთად ცხოვრება სურთ, მაგრამ არ უნდათ საკუთარ ოჯახებში ევროპული პრინციპების გატარება. ამბობენ, რომ უკრაინის პრემიერ-მინისტრი საეჭვო ორიენტაციის არისო. არავის უნდა ქვეყანა, რომლის თავკაციც არატრადიციულ ორიენტაციისა იქნება. არავის უნდა დასავლური ღირებულება იმ სახით, როგორსაც ჩვენ გვთავაზობენ" (Geworld.ge, 5 მარტი)[52].

- **ნანა დევდარიანი, ყოფილი სახალხო დამცველი:** "2006 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით «ჰომოფობია ევროპაში»... ეს რეზოლუცია გვავალდებულებს, პატივი ვცეთ იმას, რაც მართლმადიდებლობისა და სხვა ყველა რელიგიის დოგმატით ცოდვად არის მიჩნეული... უნდა შეეგუოთ იმას, რომ თქვენს შვილებს სკოლაში თუ ტელევიზიით ცოდვის პატივისცემას ასწავლიან... თუ საქართველო ოდესმე ევროკავშირის წევრი გახდება, ეს რეზოლუცია სავალდებული იქნება შესასრულებლად ისევე, როგორც 2010 წელს მიღებული კიდევ ერთი რეზოლუცია 1728 (2010), რომელშიც სხვა ბევრ რამესთან ერთად ნათქვამია: «ასამბლეა განსაკუთრებით შეშფოთებულია ევროსაბჭოს რიგ ქვეყნებში ლგბტ პირთა თავისუფალი შეკრებისა და გამოხატვის უფლებების დარღვევით, რადგან ეს უფლებები დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს... განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ევროკომისარი, რომლის უშუალო ზემდგომი, ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი ერისა და " სამშობლოს ცნების სანაგვეზე მოსროლას ქადაგებს, ხვდება მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელს." (Geworld.ge, 12 მარტი)[53].

- **ქეთი ხომერიკი, ჟურნალისტი:** "ეთანხმებით გავრცელებულ აზრს, რომ აშშ მანკიერების, გეებისა და ათასი ბიწიერების ქვეყანაა?..

  ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი: "ესაა ლიბერალიზმი... მათ არ აქვთ ეთნიკური საფუძველი და იდეა, მაგრამ სახელმწიფოს სჭირდება იდეა. აქედან გამომდინარე, ამერიკა ეძებს იდეებს და, სამწუხაროდ, მიადგა ამ იდეას, რომელსაც ჰქვია ჰომოფილია ჰომოფობიის საწინააღმდეგოდ. ეს გულისხმობს იმას, რომ უზნეო ადამიანები საზოგადოებას უკვე თავს ახვევენ საკუთარი ცხოვრების წესს" (Geworld.ge, 6 მარტი)[54].

---

[52] http://geworld.ge/View.php?ArtId=5696
[53] http://geworld.ge/View.php?ArtId=5709
[54] http://geworld.ge/View.php?ArtId=5698

პოლიტპატმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი

- **ლევან ჩაჩუა:** "ევროინტეგრაციის ეს ყბადაღებული პროცესი საქართველოში, შეიძლება ითქვას, ჩუმი დივერსიის სახით მიმდინარეობს... ხელისუფლება, ფაქტობრივად, საზოგადოების გვერდის ავლით აწერს მასზე ხელს. აქედან გამომდინარე, პირდაპირ ვამბობ: ეს ხელშეკრულება არალეგიტიმურია" (Geworld.ge, 3 აპრილი)[55].

რეკომენდაცია

- პოლიტიკურმა პარტიებმა შეიმუშაონ თვითრეგულირების მექანიზმები, რომლითაც მათი ცალკეული წევრებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სიძულვილის ენის, ქსენოფობიის და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციული რიტორიკის გამოვლინებაზე მოახდენენ რეაგირებას;

- პოლიტიკურმა პარტიებმა შეიმუშაონ და ხელი მოაწერონ ერთობლივ დეკლარაციას, რომლითაც უარს იტყვიან საჯარო რიტორიკაში სიძულვილის ენის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციული რიტორიკის გამოყენებაზე.

[55] http://geworld.ge/View.php?ArtId=5784